

საქართველოს კანონი

“საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში” ცვლილებებისა  
და დამატებების შეტანის შესახებ

(ამოქმედდეს 2013 წლის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული  
პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)

მუხლი 1.

საქართველოს კანონში “საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი”  
(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №8, 25/03/2004) შეტანილ იქნეს შემდეგი  
ცვლილებები და დამატებები:

1. რეგლამენტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის “ა”, “დ” და “ფ” ქვეპუნქტები  
ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ა) საპარლამენტო არჩევნების ჩატარებიდან 6 თვის განმავლობაში, თუ  
დათხოვნა არ ხდება კონსტიტუციის მე-80 მუხლის საფუძველზე.”

“დ) საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო 6 თვის  
განმავლობაში, თუ დათხოვნა არ ხდება კონსტიტუციის მე-80 მუხლის საფუძველზე.”

2. რეგლამენტის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს  
შემდეგი რედაქციით:

“ბ) კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს,  
საქართველოს მთავრობას, მთავრობის წევრს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის  
აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელს, სახელმწიფო დაწესებულებებს, მიიღოს და  
შეაფასოს პასუხები.”

3. რეგლამენტის 130-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტები ჩამოყალიბდეს  
შემდეგი რედაქციით:

“1. საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარის ან/და პარლამენტის  
წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის წერილობითი მოთხოვნით, რომელსაც  
პრეზიდენტს გადასცემს პარლამენტის თავმჯდომარე 24 საათში, ან მთავრობის  
წარდგინებით სესიებს შორის პერიოდში იწვევს პარლამენტის რიგგარეშე სესიას,  
ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას – რიგგარეშე სხდომას.”

“3. რიგგარეშე სესიის ან სხდომის მოწვევის აქტი გამოიცემა წერილობითი  
მოთხოვნის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში  
პარლამენტი იკრიბება მომდევნო 48 საათის განმავლობაში.”

4. რეგლამენტის 133-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი  
რედაქციით:

“1. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საქართველოს მთავრობის მიერ  
წარდგენილი კანონპროექტები და მიმართვები მისივე მოთხოვნის საფუძველზე  
განიხილება რიგგარეშე.”

5. რეგლამენტის 145-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“2. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ: საქართველოს მთავრობას,  
პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთისა  
და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს,  
არანაკლებ 30000 ამომრჩეველს.”

6. რეგლამენტის 148-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

7. რეგლამენტის 149-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“4. თუ საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტი არ არის გათვალისწინებული პარლამენტის სამუშაო გეგმაში ან შემოტანილია გეგმით განსაზღვრული ვადის დარღვევით, ან საქართველოს მთავრობა მოითხოვს მის რიგგარეშე განხილვას, კანონპროექტის საპარლამენტო განხილვის ვადებს განსაზღვრავს პარლამენტის ბიურო ან პარლამენტის თავმჯდომარე და გადასცემს მის წამყვან კომიტეტს.”

8. რეგლამენტის 153-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“6. კომიტეტი ვალდებულია საქართველოს მთავრობის მიერ შემოტანილი კანონპროექტი, რომლის რიგგარეშე განხილვასაც იგი მოითხოვს, განიხილოს უახლოეს სხდომაზე.”

9. რეგლამენტის 156-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“3. პარლამენტში საქართველოს მთავრობის ინიციატივით შემოტანილ კანონპროექტზე მთავრობის საპარლამენტო მდივანი მომხსენებლად (თანამომხსენებლად) გამოდის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობის მიერ სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით არ იქნება მომხსენებლად (თანამომხსენებლად) დანიშნული სხვა უფლებამოსილი წარმომადგენელი. ფრაქციის ან კომიტეტის მიერ შემოტანილ კანონპროექტზე მომხსენებლად გამოდის, შესაბამისად, ფრაქციის ან კომიტეტის თავმჯდომარე ან ფრაქციის ან კომიტეტის მიერ დანიშნული წარმომადგენელი, პარლამენტის წევრის მიერ შემოტანილ კანონპროექტზე – ინიციატორი პარლამენტის წევრი, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ შემოტანილ კანონპროექტებზე – მათ მიერ დანიშნული შესაბამისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი. 30 000 ამომრჩევლის მიერ ინიცირებულ კანონპროექტზე მომხსენებლად გამოდის საინიციატივო ჯგუფის მიერ არჩეული წარმომადგენელი, ხოლო თანამომხსენებლად – შესაბამისი კომიტეტის წარმომადგენელი. საქართველოს მთავრობის ინიციატივით შემოტანილ კანონპროექტებზე მომხსენებლად დანიშნული პირი არ შეიძლება იყოს პარლამენტის წევრი. პარლამენტის წევრის, კომიტეტის ან ფრაქციის მიერ შემოტანილ კანონპროექტზე თანამომხსენებლად გამოდის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენელი.”

10. რეგლამენტის 170-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“4. თუ პარლამენტი არ მიიღებს პრეზიდენტის შენიშვნებს, კენჭი ეყრება კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას. კონსტიტუციური კანონის პროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.” კანონის პროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.”

11. რეგლამენტის 173-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

12. რეგლამენტის 202-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ თანამდებობის პირთა მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან მათ ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში გამოიყენება კონსტიტუციითა და „იმპიჩმენტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი იმპიჩმენტის წესი.“

13. რეგლამენტის 215-ე მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

14. რეგლამენტის 217-ე მუხლის მე-2; 2<sup>1</sup>; 2<sup>2</sup>; 2<sup>3</sup>; 3 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ახალი საფინანსო წლის დაწყებამდე, არა უგვიანეს ყოველი წლის 1 ოქტომბრისა საქართველოს ეროვნული ბანკი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მომავალი სამი წლის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების პროექტს.“

„2<sup>1</sup> მონეტარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების პროექტს, როგორც წესი, განიხილავენ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო ან/და ეკონომიკური პროფილის კომიტეტები და ამზადებენ შესაბამის დასკვნებს. კომიტეტი უფლებამოსილია აუცილებლობის შემთხვევაში მოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია საქართველოს ეროვნული ბანკიდან, საქართველოს მთავრობიდან, საქართველოს სამინისტროებიდან, სხვა უწყებებიდან, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულებებიდან.“

„2<sup>2</sup> საქართველოს პარლამენტი ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მონეტარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების პროექტს განიხილავს კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.“

„2<sup>3</sup> საქართველოს პარლამენტი მიმდინარე წლის ბოლომდე დადგენილებით ამტკიცებს მონეტარული პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.“

„3. ყოველწლიურად, საფინანსო წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს 4 თვისა საქართველოს ეროვნული ბანკი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს მონეტარული და საზედამხებველო პოლიტიკის განხორციელების შესახებ. პარლამენტი ამ ანგარიშს ამტკიცებს დადგენილებით.“

„5. პარლამენტი უფლებამოსილია საფინანსო წლის განმავლობაში საჭიროებისა-მებრ მოსთხოვოს საქართველოს ეროვნულ ბანკს ინფორმაცია მონეტარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე პარლამენტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ეროვნული ბანკი ვალდებულია პარლამენტის მიერ განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინოს ინფორმაცია პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.“

15. რეგლამენტის 229-ე მუხლის პირველი, მე-12 და მე-13 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს რატიფიცირების, დენონსირებისა და გაუქმებისათვის პარლამენტს წარუდგენს საქართველოს მთავრობა, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ა-გ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულება დადებულია საქართველოს პრეზიდენტის მიერ, - საქართველოს პრეზიდენტი, რაც საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას.”

“12. თუ წამყვანი კომიტეტი მიიჩნევს, რომ რატიფიცირება, დენონსირება ან გაუქმება აუცილებლად უნდა მოხდეს დათქმით, იგი უნდა შეუთანხმდეს საერთაშორისო ხელშეკრულების წარმდგენ ორგანოს. თუ საერთაშორისო ხელშეკრულების წარმდგენი ორგანო თანხმობას განაცხადებს, საერთაშორისო ხელშეკრულების (შეთანხმების) რატიფიცირება, დენონსირება ან გაუქმება მოხდება შესაბამისი დათქმით, ხოლო თუ იგი წინააღმდეგი იქნება, საკითხს კვლავ განიხილავს წამყვანი კომიტეტი თავის უახლოეს სხდომაზე. თუ საერთაშორისო ხელშეკრულების წარმდგენი ორგანო კვლავ აუცილებლად მიიჩნევს დათქმას, საკითხის განხილვა მოხდება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დათქმით.”

“13. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საერთაშორისო ხელშეკრულების (შეთანხმების) რატიფიცირებასთან, დენონსირებასთან ან გაუქმებასთან დაკავშირებით მოხსენებით წარსდგება საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ან საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს პრეზიდენტი ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი. თანამომხსენებლად შეიძლება გამოვიდნენ პარლამენტის მიერ განსახილველ საკითხთან

დაკავშირებით განსაზღვრული წამყვანი კომიტეტისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეები.

## საქართველოს კანონი

### “საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში” ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ (ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე)

1. რეგლამენტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის “ა”, “დ” და “ფ” ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ფ) სახელმწიფოს მონეტარული პოლიტიკის წარმართვა.”

2. რეგლამენტის 236-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული საქართველოს ეროვნული ბანკი – საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი ვალდებულია პარლამენტს ყოველწლიურად, არა უგვიანეს 1 აპრილისა წარუდგინოს თავისი საქმიანობის წლიური ანგარიში.“

საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარე

დავით ბაქრაძე

## განმარტებითი ბარათი

### საქართველოს საკანონმდებლო აქტში - “საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი” ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ მიღება.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით გათვალისწინებული კონსტიტუციის ახალი რედაქციის 51<sup>1</sup>-ე; 59-ე; 61-ე; 63-ე; 65-ე; 67-ე; 68-ე; 69-ე; 95-ე და 96-ე მუხლებთან საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისობაში მოყვანა.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

საქართველოს კონსტიტუციის 51<sup>1</sup> მუხლის “ა” და “დ” პუნქტებთან საქართველოს კანონის – “საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი” შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შედის ცვლილებები და დამატებები რეგლამენტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის “ა” და “დ” ქვეპუნქტებში, რომელთა მიხედვითაც საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დაითხოვოს საქართველოს პარლამენტი პარლამენტის არჩევნების ჩატარებიდან 6 თვის განმავლობაში ან საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადის ბოლო 6 თვის განმავლობაში, თუ პარლამენტი ნდობას ვერ გამოუცხადებს მთავრობის შემადგენლობას საქართველოს კონსტიტუციის მე-80 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის პირველ და მესამე პუნქტებთან საქართველოს კანონის – “საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი” შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შედის ცვლილებები და დამატებები კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტში და 215-ე მუხლის მე-4 პუნქტში, რომელთა მიხედვითაც საპარლამენტო კონტროლის განხორციელებისას პარლამენტის წევრს ერთმევა უფლებამოსილება კითხვით მიმართოს ქალაქის მერს; იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი პრემიერ-მინისტრის წინაშე სრული შემადგენლობის უმრავლესობით დასვამს მთავრობის ცალკეული წევრის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხს და პრემიერ-მინისტრი არ გაანთავისუფლებს მთავრობის წევრს, იგი თავისუფლდება პარლამენტის წინაშე 2 კვირის ვადაში მოტივირებული გადაწყვეტილების წარდგენის ვალდებულებისგან.

საქართველოს კონსტიტუციის 61-ე მუხლის მეორე პუნქტთან საქართველოს კანონის – “საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი” შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შედის ცვლილებები და დამატებები კანონის 130-ე მუხლის პირველ და მესამე პუნქტებში, რომელთა მიხედვითაც საქართველოს პრეზიდენტს ერთმევა უფლებამოსილება საკუთარი ინიციატივით მოიწვიოს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესია ან რიგგარეშე სხდომა. გარდა ხსენებული ცვლილებისა, საქართველოს მთავრობას ენიჭება უფლებამოსილება მიმართოს წარდგინებით საქართველოს პრეზიდენტს, რათა მან მოიწვიოს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესია ან სხდომა.

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის“ საქართველოს

კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შედის ცვლილებები და დამატებები რეგლამენტის 202-ე მუხლის მე-2 პუნქტში. კონსტიტუციის 63-ე მუხლში ასახული ცვლილებების თანახმად, პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელებაში უზენაესი სასამართლოს მონაწილეობა სრულიად გამოირიცხა და პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან/და მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის შემთხვევაში კონსტიტუციური წარდგინება დასკვნისთვის გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს. ამავდროულად გაუქმდა შუალედური პროცედურა, რომელიც გულისხმობდა იმპიჩმენტის საკითხის საბოლოო კენჭისყრაზე დაყენებისთვის აუცილებელ პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის თანხმობით მიღებულ გადაწყვეტილებას. 30 დღიდან 15 დღემდე შემცირდა პარლამენტისთვის საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის მიღებიდან გადაწყვეტილების გამოტანისთვის დადგენილი ვადა. აგრეთვე დადგინდა, რომ თუ პარლამენტი აღნიშნულ ვადაში არ მიიღებს გადაწყვეტილებას პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, იმავე საკითხზე იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დაუშვებელია. ამავდროულად, კონსტიტუციის 63-ე მუხლით გათვალისწინებული ცვლილებების კანონმდებლობაში იმპლემენტაციაზე მუშაობამ თავისთავად გამოიწვია კონსტიტუციის 75-ე მუხლით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელებაც, რაც ასახულია კანონპროექტში.

საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის 1<sup>ლ</sup> პუნქტისა და 69-ე მუხლის მე-3 პუნქტთან საქართველოს კანონის – “საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი” შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შედის ცვლილებები და დამატებები კანონის 229-ე მუხლის პირველ, მე-12 და მე-13 პუნქტებში, რომელთა მიხედვითაც საქართველოს მთავრობას ენიჭება უფლებამოსილება მიმართოს საქართველოს პარლამენტს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირების, დენონსირებისა და გაუქმების შესახებ, ხოლო კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხსენებული უფლებამოსილება შეიძლება განახორციელოს საქართველოს პრეზიდენტმა. აღნიშნული ცვლილებით მოხდა საქართველოს მთავრობის როლის გაზრდა საგარეო ურთიერთობების კუთხით. საქართველოს პრეზიდენტი აღარ არის ერთპიროვნული უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში.

საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლთან საქართველოს კანონის – “საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი” შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შედის ცვლილებები და დამატებები კანონის 133-ე მუხლის პირველ, 145-ე მუხლის მე-2, 149-ე მუხლის მე-4, 153-ე მუხლის მე-6, 156-ე მუხლის მე-3 პუნქტებში, აგრეთვე ხდება 148-ე და 173-ე მუხლების ამოღება. აღნიშნული ცვლილებებისა და დამატებების მიხედვით საქართველოს პრეზიდენტს ერთმევა საკანონმდებლო ინიციატივისა და კონსტიტუციის გადასინჯვის ინიცირების უფლებამოსილება. ხსენებული ცვლილების შედეგად ხდება პრეზიდენტის დისტანცირება საკანონმდებლო ორგანოსგან.

საქართველოს კონსტიტუციის 68-ე მუხლის მე-4 პუნქტთან საქართველოს კანონის – “საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი” შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შედის ცვლილებები და დამატებები კანონის 170-ე მუხლის მე-4 პუნქტში, რომლის მიხედვითაც მარტივდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის მოტივირებული შენიშვნებით დაბრუნებული კანონპროექტის მიღების პროცედურა, კერძოდ, საქართველოს კანონის პროექტის მისაღებად საჭიროა პარლამენტართა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის მხარდაჭერა, ხოლო ორგანული კანონის პროექტის მისაღებად – პარლამენტართა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტის მხარდაჭერა. აღნიშნული ცვლილებით მოხდა საქართველოს პრეზიდენტის ზეგავლენის შესუსტება საკანონმდებლო პროცესზე.

საქართველოს კონსტიტუციასთან „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი“ – საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შედის

ცვლილებები და დამატებები კანონის მე-3 და 217-ე მუხლებში. კონსტიტუციის 95-ე მუხლში ასახული ცვლილებების თანახმად, მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით „საქართველოს ეროვნული ბანკი წარმართავს ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ხელს უწყობს ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას“. აღნიშნული დეფინიციის თანახმად საქართველოს კონსტიტუციაში ქვეყნის ფინანსური პოლიტიკის აღსანიშნავად აღარ გამოიყენება ტერმინი „ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა“ და მის ნაცვლად დამკვიდრდა ტერმინი „მონეტარული პოლიტიკა“.

საქართველოს კონსტიტუციასთან „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი“- საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შედის ცვლილებები და დამატებები კანონის 236-ე მუხლში. კონსტიტუციის 96-ე მუხლში ასახული ცვლილებების თანახმად, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთაგან თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. კონსტიტუციის აღნიშნულ ცვლილებებამდე საქართველოს პრეზიდენტი ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთაგან, თანამდებობაზე ნიშნავდა ამავე საბჭოს წარდგინებით. ცვლილებით აღარაა საჭირო პრეზიდენტისადმი ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინება, რაც თავის პრეზიდენტის აღნიშნულ უფლებამოსილებას ნომინალურს ხდიდა. ასევე 96-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სიტყვა „პასუხისმგებელია“ შეიცვალა სიტყვით „ანგარიშვალდებულია“

## **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

### **ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო**

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დამატებითი ხარჯების გაწევას.

### **ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილზე.

### **ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე**

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯვით ნაწილზე.

### **ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები**

#### **ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

#### **ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)**

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან**  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან**  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

**დ) ინფორმაცია კანონპროექტის ავტორისა და ინიციატორის შესახებ**

**დ.ა) კანონპროექტის ავტორი**  
კანონპროექტის ავტორია ა(ა)იპ – “საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია”

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი**  
კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი.